პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

1 ლ და მე 2 ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

გამოდის ხუთშაბათობით და კვირაობით

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფ სი 1 გვ. —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

157 (1152) | კვირა, 26 სექტემბერი 1926 წ. | (1152) 157

# გაასკეცებული ძალით და ენერგიით მოეკიდე შეკრებათა შორის მუშაობას.

კიდევ რამოდენიმე დღე და დასრულდება საერთო ტერიტორიალური შეკრება. ერთი თვის სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობის შემდეგ ჩვენი ცვალებადელები გაეშურებიან თავიანთ სახლებისაკენ, სოფლებსა და ფაბრიკებში.

ტერშეკრება გათავდა, მაგრამ ცვალებადელის სამხედრო-პოლიტიკური სწავლება არ დამთავრებულა.

ტერადმშენებლობის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო საერთო შეკრებებისაგან, არამედ აგრეთვე უმთავრესად, შეკრებათა შორის მუშაობისაგან.

ამიტომ საერთო შეკრების შემდეგ ცვალებადელის წინაშე იჭრება მთელი რიგი ამოცანებისა, რომლებიც ეხებიან მისი სამხედრო მომზადების და საბრძოლო უნარის აწევის საქმეს.

არა ნაკლები ენერგიით, ვიდრე ტერშეკრებაზე ცვალებადელი უნდა შეუდგეს შეკრებათა შორის მუშაობას.

მას მუდამ და ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ 5 წლის განმავლობაში ის ითვლება სამხედრო ვალდებულად, რაც მოვალედ ხდის მას ყოველმხრივ და მთელი თავისი გულმოდგინეობით იზრუნოს თავის სამხედრო ცოდნის გაფართოვებაზე და გაღრმავებაზე.

ამას ის სავსებით მიაღწევს მაშინ, როცა მთელი თავისი სერიოზულობით და ენერგიით მოეკიდება შეკრებათა შორის მუშაობას და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს მისი ნაყოფიერობით წარმოებას.

ტერშეკრების შემდეგ ცვალებადელმა ერთი დღითაც არ უნდა შეწყვიტოს კავშირი თავის ნაწილთან და მთელ წითელ არმიასთან. ეს საშუალებას მისცემს მას ნაყოფიერათ და მიზანშეწონილად აწარმოოს სამხედრო თვითმომზადება შეკრებათა შორის.

დაბრუნდება თუ არა ტერშეკრებიდან ცვალებადელი, ის დაუყონებლივ უნდა შეუდგეს სოფელსა თუ ფაბრიკაში არსებულ სამხედრო კუთხეში და სამხედრო ცოდნათა წრეში მუშაობას. თუ ასეთები არ არსებობენ, ცვალებადელმა უნდა ითაოს მათი დაარსება. ცვალებადელი უნდა გახდეს აგრეთვე ფიზიკური მომზადების, სპორტის საუკეთესო პროპაგანდისტი სოფლად და მისი დამფუძნებელიც. სასროლო საქმის შესწავლასაც მან უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება.

ერთი სიტყვით, შეკრებათა შორის მუშაობის ფორმები მრავალნაირია და ყველა მათი ნაყოფიერად გამოყენება ჩვენს ცვალებადელებს შეეძლებათ მაშინ, როცა მჭიდრო, სისტემატიური კავშირი ექნებათ თავისი ნაწილის ხელმძღვანელებთან.

ასეთი კავშირის დაჭერაში მათ დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე გაზ. „წითელ-არმიელი“. სამხკორმა—ცვალებადელმა სისტემატიურად უნდა მოგვაწოდოს კორესპოდენციები იმის შესახებ, თუ რა კეთდება შეკრებათა შორის მუშაობის ყველა დარგში, როგორ მიმდინარეობს მოსახლეობის გასამხედროება, რა ნაკლია, რა მიღწევებია, რომელი ცვალებადელი იჩენს მეტ ენერგიას და ხალისს შეკრებათა შორის მუშაობაში, რომელი ჩამორჩენილია ამ მხრივ და სხვა. ყოველივე ეს ვიმეორებთ, დიდათ შეუწყობს ხელს ტერშეკრებათა შორის მუშაობის ნაყოფიერობას.

ამასთანავე ერთად ცვალებადელები—სამხკორები მოვალენი არიან ეცადონ ფართოდ გაავრცელონ ჩვენი გაზეთი სოფლად, რაც დიდად დაეხმარება გასამხედროების საქმეს და სოფლისა და წითელი არმიის კავშირის განმტკიცებას.

გაასკეცებული ენერგიით და ძალღონით შეუდექი ცვალებადელო, შეკრებათა შორის მუშაობას, როცა დაბრუნდები საერთო შეკრებიდან.

# გერმანიის მშრომელთა კონგრესის მოწვევის გამო.

გერმანიის კომუნისტური პარტია ამ ჟამად ენერგიულ კამპანიას აწარმოებს მშრომელთა კონგრესის (ყრილობის) მოსაწვევად. კონგრესის მოწვევა განზრახულია 3 ნოემბრისათვის.

რომ ნათელი გახდეს ამ კონგრესის მნიშვნელობა, ზედმეტი არ იქნება მოკლედ დავასურათოთ გერმანიის მუშათა კლასის დღევანდელი მდგომარეობა.

გერმანიის პროლეტარიატი საშინელ მატერიალურ პირობებში იმყოფება. მეტად მცირე სამუშაო ხელფასი და დიდი სამუშაო დღე აუტანელ პირობებში აყენებენ მას. მას შემდეგ, რაც გერმანიის კაპიტალისტები შეუდგნენ დოუესის გეგმის გატარებას, გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობა ერთი ორად გაუარესდა. და რაც დღე მიდის, ეს მდგომარეობა უფრო და უფრო უარესი და აუტანელი ხდება.

გერმანიაში დღეს 3 მილიონი უმუშევარია. აქედან მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს უმნიშვნელო დახმარებას. დანარჩენები კი ულუკმაპუროდ რჩებიან. ამავე დროს კაპიტალისტების შეტევა მუშათა კლასზე წინანდელი ენერგიით გრძელდება. ბურჟუაზია აუმჯობესებს საწარმოო იარაღებს, რაც განუწყვეტლივ ზრდის უმუშევართა არმიას. ბევრი მუშები მხოლოდ სამი დღე მუშაობენ კვირაში. არც ერთი მათგანი დარწმუნებული არ არის მასში, რომ მას ხვალ არ დაითხოვენ და ქუჩაში არ გააგდებენ.

ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობს გერმანიის პროლეტარიატი. და ეს მაშინ, როცა გერმანიის ბურჟუაზია იმავე მუშათა კლასის გაყვლეფის გზით აპირებს უსასყიდლოთ დაუბრუნოს ყოფილ მეფის გვარეულობას მილიარდის საღირალი ქონება.

როგორ უყურებს მუშათა კლასის ასეთ მდგომარეობას გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რას აკეთებს ის?

როგორც ყოველთვის და მუდამ, გერმანიის მენშევიკები ახლაც ბურჟუაზიის თავკამოდებული დამხმარეს როლში გამოდიან. სოციალ-გამყიდველები ყოველ ფეხის გადგმაზე ღალატობენ მუშებს და ხელს უწყობენ ბურჟუაზიას მუშათა კლასის გაყვლეფასა და დამონავებაში.

გერმანიის ბურჟუაზია ამ ბოლო ხანებში დიდის მოწიწებით ეპატიჟება მენშევიკებს, რათა ისინი შევიდნენ მთავრობაში. რატომ? იმიტომ, რომ მენშევიკები აქ ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული მოატყუილებენ მუშებს და გაამაგრებენ კაპიტალისტურ წესწყობილებას.

ცხადია ყოველივე ეს ქონის დიდ უკმაყოფილებას მშრომელთა ფართე ფენებში. ხშირად აქვს ადგილი უმუშევარ მუშების გამოსვლებს, რომლებიც ითხოვენ სამუშაოს და პურს. ბურჟუაზია მათ ტყვიამფრქვევებით უმასპინძლდება.

და აი გერმანიის კომუნისტურ პარტიამ, რომელიც ერთადერთი ნამდვილი, ღირსეული და ერთგული ბელადია გერმანიის მუშათა კლასის, გადასწყვიტა მოიწვიოს 3 ნოემბრისათვის მშრომელთა ფართე კონგრესი (ყრილობა), რომელზედაც უნდა მოხდეს მშრომელთა რიგების გაერთიანება კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ყოველგვარ ხომებს მიმართავს, რათა ხელი შეუშალოს კონგრესის მოწვევას, მაგრამ არც კომუნისტები ზოგავენ ენერგიას და ძალას. მუშები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ყრილობის მოწვევას და კიდეც ემზადებიან მონაწილეობის მისაღებად მასზე.

ჩვენ მტკიცე დარწმუნებული ვართ მასში, რომ აღნიშნული კონგრესი კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ შესძლებს გერმანიის მშრომელთა გაერთიანებას გადამჭრელი, შეურიგებელი რევოლიუციონური ბრძოლის დროშის ქვეშ.

—ი.

# მდგომარეობა ჩინეთში.

**კანტონის არმია ბრწყინვალედ იმარჯვებს. სახალხო. არმიები მალე შეუერთდებიან კანტონის არმიას. უ პეი-ფუს არმიაში ხდება ნაწილობრივი აჯანყებები.**

## კანტონის არმიის გამარჯვება

კანტონის არმიამ დაიკავა უდელტეხილი უ-შენ-გუანი ხუ-ბეი ხენანის საზღვარზე უ-შენ-გუანს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის არის გზა ხენანისაკენ. მიუხედავად ამისა კანტონის არმიას არა სურს ხენანის პროვინციის შუაგულში შეჭრა. ის ამაგრებს თავის პოზიციებს ხუ ბეის პროვინციაში.

მეორე სახალხო არმიის ნაშთები. რომლებიც გაბნეული არიან ხე-ნანში, გლეხთა რაზმებთან ერთად აუჯანყდენ უ-პეი-ფუს წინაალმდეგ.

### ბრძოლა ამერიკის გემებისა და კანტონის არმიის შორის.

პდ. იან-ცზი-ციანზე ხანკოუს ზევით ისევ დაიწყო სროლა ამერიკის გემებსა და კანტონის ჯარებს შორის.

კანტონის არმიის მთავარსარდალ ჩან-კაი-შიმ მოსთხოვა უცხოეთის კონსულებს, რათა უცხოელების ყველა სამხედრო გემებმა სასწრაფოდ დასტოვონ სამხედრო ზონა ხანკოუში და კასცურონ ქვევით მდინარეზე.

### დაკავებულია დიდი საწარმოო ცენტრი

იაპონიის სააგენტოების ცნობით კანტონის არმიამ დაიკავა ტა-იე უტ-ჩანის სამხრეთ აღმოსავლეთით, იმ რაიონში საიც მოთავსებულია ჩინეთის უდიდესი რკინის გადამდნობი ქარხნები.

ჩინეთის პრესის ცნობით შან-დუნის გუბენატორის ჩჟუაცზუა-ჩანსა და სუნ-ჩუან-ფანს შორის დადებულია ხელშეკრულება კანტონის წინაალმდეგ საბძოლველად.

### გაფიცვა შანხაიში.

შანხაის სამ ინგლისურ ქარხნებში სუნ-ჩუან-ფანის ზურგში, გაიფიცა 7.000 მუშა.

# გერმანიის ჯალათები შეუბრალებლათ ხვრეტენ უმუშევრებს.

**ატუსაღებენ კომუნისტებს.**

## უმუშევართა დახვრეტა გერმანიაში.

ბრესლავლის პოლიცის განკარგულებით ქალაქში გამოცხადებულია ნაწილობრივი საალყო წესები. პოლიციელების გაძლიერებული რაზმები ერეკებიან ქუჩაში შეჯგუფებულ ალხს. უმუშევართა დემონსტრაციის დახვრეტის გამო შესდგა მასიური საპროტესტო კრება, რომელიც მოწყობილი იქნა კომპარტიისა და წითელფლოტელთა კავშირის მიერ.

დახვრეტის დროს მოკვდა 2, მძიმედ დაიჭრა 10 და რამოდენიმე მსუბუქათ. უმუშევრები პროტესტით შეხვდენ უმუშევართა საბჭოს დათხოვნას.

# საქართველოში.

### დახმარება დაზარალებულ გლეხებს

შორაპნის მაზრაში დაარსდა სტიქიურ მოვლენებისაგან დაზარალებულ გლეხთა დამხმარე კომისია, რომელშიაც შედიან თემების, მაზრის აგრონომი, სტატისტიკურ ბიუროს წარმომადგენელი და სხვა.

შორაპნის აღმასკომმა დააღგინა აგრეთვე იშუამდგომლოს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა დაზარალებულ გლეხებს გაეწიოთ დახმარება საკრედიტო ამხანაგობებიდან გრძელვადიან სესხის მიცემის სახით.

### მატყლის დამზადება

მეცხვარეთა საზ. „მწყემსი“ მ დაამთავრა საშემოდგომო მატყლის დამზადება. მატყლი 40 ათასი ფუთის რაოდენობით უმთავრესად დამზადებული იქნა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში.

### მეცხენეობის განვითარებისათვის

მეცხენეობის განვითარების 5 წლიან საპერსპექტივო გეგმის თანახმად ამიერკავკასიაში გადადებული იქნა 135.000 მანეთი.

საქართველოს ცხენთა საშენის სამმართველომ გამოითხოვა ამ თანხიდან 40 პროც.

### განათლების საქმისთვის

ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ შეიმუშავა 1926—27 წ. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად აღმასკომს.

ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ტფილისისა და მისი მაზრისათვის დაიხარჯება 3.000.000 მანეთი, რაც გამოწვეულია მასწავლებელთა ხელფასისა და სამეურნეო ხარჯების გადიდების გამო.

### 14 ახალი ჰიდრო-ელსადგური

ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმა, რომლის მიხედვით ამიერკავკასიაში 5 წელში უნდა აიგოს 14 ახალი ელსადგური—200 ათასი კილოუატის საერთო ძალით სადგურების აგება დაჯდება 110 მილიონი მანეთი.

### მძიმილო (ბარიტი) რაჭაში

რაჭის მაზრის სოფელ თხმორში აღმოჩენილი იქნა მძიმილოს დიდძალი მადანი. მადანი მდებარეობს სპილენძის კოლჩედანის მადნების ახლოს. მძიმილოს დამუშავება ხელს შეუწყობს აგრეთვე სპილენძის დამუშავებასაც, თუ მოეწყო პირველის დამუშავება.

### ნაოსნობა მდ. რიონზე

ა. კ. ნავთსადგურის სამართ. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ნაოსნობა რიონზე შესაძლებელია მხოლოდ 60 ვერსის მანძილზე ზღვაში შესართავიდან. ამ მანძილზე საჭირო არ იქნება წყალის გაღრმავება მიწის გათხრით.

მდ. რიონზე ნაოსნობის მოსაწყობათ ტფილისში უკვე შესდგა აქციონერული საზოგადოება.

### არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენა

სოფ. ოფშკვიტში (ქუთ. მაზ). ყანების მოსარწყავ არხის გაყვანის დროს, აღმოჩენილი იქნა მიწაში ხალამი, რომელშიაც აღმოჩდა ბრინჯაოს ხანის ნივთები სულ 55 ცალი—ბრინჯაოს ნაჯახები, თოხები, სატეხები, ფულები, საკვეთლები, ზოდები, სამკაულები და მრავალი სხვა. სულ 7 ნაირი ფორმისა და დანიშნულების. მდ. რიონსა და ცხენის წყალს შორის ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენა მით აა საყურადღებო, რომ წინად ფიქრობდენ, რომ აქ ზღვა იყო. ეს აღმოჩენა კი უარყოფს გავრცელებულ შეხედულებას.

### სასოფლო სამეურნეო გადასახადები

საქ. ფინსახკომმა დაასრულა 1926—27 საოპერაციო წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გამოანგარიშება სხვა და სხვა მაზრებისათვის. მთელი გადასახადი უდრის -1,905.809 მანეთს. აქედან 1.476.321 მ. შეწერილია აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო -429.485 მან. დასავლეთ საქართველოზე,

# ემზადეთ „მოსავლის დღისათვის“.

საქართველოს მშრომელი გლეხკაცობის ფართო ფენებისათვის „მოსავლის დღე“ ჯერ კიდევ უცნობია. ის სრულიად ახალი უქმეა. წარსულ წელში ჩვენი ქვეყნის მხოლოდ რამოდენიმე მაზრამ და ისიც აქა-იქ ჩაატარეს ეს დღესასწაული, გლეხთა ფართო წრეებს მასში მონაწილეობა არ მიუღია. წელს საყოველთაო დღესასწაულად უნდა გადაიქცეს ის და საფუძვლად დაედვას გლეხის მეურნეობის გაძლიერებას.

დღესასწაულის მიზანია, რომ საზოგადოებრივი მუშაობისა და აგროპროპაგანდის გზით, შეცვლილი იქნეს სოფლის საეკლესიო დღესასწაულები, ჯამი გაუკეთდეს წარსულ სასოფლო-სამეურნეო წელს, გამოაშკარავდეს ის დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიდენ მოსავლიანობის სიუხვეს და დაისახოს შესაფერი ღონისძიებანი ადგილობრივ სასოფლო-მეურნეობის შემდეგში განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

**მოაწყვეთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.**

მოსავლის დღის დღესასწაულისათვის უნდა მოეწყოს ადგილობრივ **სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.**

ასეთი გამოფენა ამ დღეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა და რა დიდი ნაყოფი მოაქვს მეურნეობის კულტურულად წარმოებას. თითქმის ყოველ სოფელში მოგვეპოვებიან ისეთი გლეხები, რომლებიც შედარებით კარგად უძღვებიან თავიანთ მეურნეობებს და განირჩევიან თავისი მუყაითობითა და გარჯილობით. მოსავლის დღისთვის მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ასეთი მეურნეების ნაწარმოები და დაჯილდოვდეს.

**სოფლის კულტურული ძალები მოსავლის დღის სულის ჩამდგმელი უნდა იქნენ**

საჭიროა „მოსავლის დღის“ მოსაწყობად ამუშავდენ სოფლის ყველა კულტურული ძალები. საჭიროა თითეული აგრონომი, მიწის მზომელი, მეტყევე და სხვები, უშუალო მონაწილეობას ღებულობდენ დღესასწაულის მოწყობაში და შესაფერ ახსნა-განმარტებებს აძლევდენ ამ დღისთვის მოწყობილ გამოფენის ექსპონატების შესახებ.

**სასოფლო-სამეურნეო საბჭოების და წრეების მონაწილეობა.**

გამოფენების მოსაწყობად წარმოებული მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს წინასწარ გლეხებისა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო საბჭოებისა და წრეების ორგანიზაციული მონაწილეობით.

საბჭოებისა და წრეების კრებებზე უნდა გამომუშავდეს გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, როგორც მაგალითად: სად უნდა მოეწყოს გამოფენა, დასაჩუქრების წესი და ხასიათი, საამისო საშვალებათა გამონახვა, მასალების—ექსპონატების შეგროვების წესი და სხვა.

**უნდა გაძლიერდეს პროპაგანდა კულტურული მეურნეობის მოწყობისათვის**

დღესასწაულისათვის მოწყობილ გამოფენაზე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამეურნეო საბჭოებმა და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებმა და კოლექტიურ მეურნეობებმა. ამ ორგანოებს მრავალი მიხწევები აქვთ თავიანთ სამეურნეო აღმშენებლობაში და ისინი შეიძლება მაგალითად გახდენ ადგილობრივი გლეხობისათვის.

**მოსავლის დღე ქალაქ სა და სოფლის მშრომელების დაახლოების დღეთ უნდა გადაიქცეს**

მოსავლის დღის ჩატარებისათვის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე ახკომკავშირის ორგანიზაციებმა, წითელმა არმიამ და საშეფო საზოგადოებებმა. წითელ არმიელები, მუშებსა და საშეფო საზოგადოებებთან ერთად აუცილებლად უნდა ჩაებან ამ საქმეში. მოსავლის დღის დღესასწაული სოფლიდან წითელ ყაზარმაშიც უნდა გადმოვიდეს. საშეფო საზოგადოებების საშვალებით წითელ არმიელები კიდევ უფრო შესძლებენ განამტკიცონ კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

მოსავლის დღეთ აღიარებულია 24 ოქტომბერი, ე. ი. ისეთი დრო, როდესაც მოსავალი სრულიად მოწეული და დაბინავებულია. ეს დღე უნდა გადაიქცეს ქალაქისა და სოფლის მშრომელების დამეგობრების დღეთ.

**ცვალებადელო და შვებულო წ. არმიელებო, გამოიჩინეთ თქვენი აქტიობა მოსავლის დღის ჩატარებაში**

შვებულ წითელ არმიელებს და იმ ცვალებადელებს, რომლებიც ამ ახლო ხანში იქნებიან დათხოვნილი შეკრებებიდან უდიდესი როლი შეუძლიათ ითამაშონ ამ დღესასწაულის გატარებაში. ამხანაგებმა უნდა გასწიონ მომჭირნეობისათვის აგიტაცია და აუხსნან გლეხებს, თუ როგორ ანადგურებს ამ მხრივ გლეხის შამოზოგვილ დავლათს საეკლესიო დღესასწაულების გადახდა.

ეს დღესასწაულები უნდა ენაცვალოს მოსავლის დღეს, საეკლესიო დღესასწაულები უნდა შეიცვალოს გლეხობის, მათი მეურნეობის გაძლიერების, კულტურულ გზაზე დამყენებლის და მათა მოსავლის დოვლათიანობის თავდების—მოსავლის დღის დღესასწაულით.

ახალი სოფლის მშენებლები თქვენ ხართ და ამ უდიდესი საქმის პირველი გამტარებლებათ თქვენ უნდა მოევლინოთ სოფელს.

# ფიზკულტურის კუთხე

წარსულ წლებთან შედარებით ჩვენ საგრძნობლად წავიწიეთ წინ ფიზკულტურის საქმის დაყენებაში, მაგრამ კიდევ შევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ფიზკულტურამ მასიური ხასიათი მიიღოს. ამჟამად კი ის მოკლებულია ამ მასიურობას, რასაც ამტკიცებს ფიზკულტურის წრეების შემადგენლობის შესახებ რიცხვობრივი ცნობები. თუ შევადარებთ სხვა წრეებთან, ფიზკულტურის წრეებში ნაკლებია მომუშავეთა რიცხვი, ვიდრე მაგალითად სამხკორთა წრეებში. ყოველივე ეს გვიკარნახებს ჩვენ, მივმართოდ ისეთ საშვალებებს, რომლითაც შევძლებთ ფიზკულტურაში ფართო მასების ჩაბმას. ერთ-ერთ ასეთ საშვალებას წარმოადგენს ფიზკულტურის კუთხეების ჩამოყალიბება ნაწილებში.

ასეთი კუთხე შეიძლება მოეწყოს ლენკუთხეში ფიზკულტურის წრის ძალებით. ფიზკულტურის კუთხე უნდა გახდეს სარკეთ ნაწილში წარმოებულ ფიზკულტურის მუშაობისა.

სათანადო მასალების თვალსაჩინოდ დაწყობით წითელ არმიელთა მასა დაინტერესდება ფიზკულტურის მუშაობით და ჩაებმება წრეების მუშაობაში.

თვით ფიზკულტურის კუთხის მოწყობის საქმისთვის საჭიროა ერთგვარი სისტემა. ის ადგილი, რომელიც დანიშნულია სპორტკუთხისათვის უნდა დაიყოს სამ ნაწილად. შუაში ზემოდ თავსდება ლოზუნგები. ლოზუნგების ქვემოდ ცხრილი ინდივიდუალურ და ჯგუფურ მიღწევებისა ამა თუ იმ ნაწილის და მთელ წითელ არმიის მასშტაბში. ქვემოდ ფოტო-სურათები საბჭოთა კავშირის ფიზკულტურის ცხოვრებიდან. აქვე უნდა იქნეს ქვემოდ დაწყობილი ფიზკულტურის საქმის სხვა და სხვა იარაღები, სათანადო ახსნა განმარტებით მათი ხმარების წესის შესახებ.

სლლ ქვემოდ შეიძლება ფიზკულტურის იარაღების მოდელების დაწყობა.

კუთხის მარცხენა მხარეზე უნდა მოთავსდეს მასალები ნაწილის ფსიქო-ფიზიკურ გამოცდის შესახებ (იხ. რევსამხსაბჭოს ბრძანება № 508 1925 წ.) და მასალები სკოლის გარეშე სასპორტო მუშაობის შესახებ.

მარჯვენა მხარეს ზემოდ უნდა თავსდეოდეს ნაწილის ექიმის გამოკვლევის შედეგები. შუაში—წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების ჰიგიენა და ქვემოდ სარეკომენდაციო სია ფიზკულტურის და სპორტის ლიტერატურისა.

ამ წესით მასალების დაწყობა შემოღებულია მრავალ სასპორტო კუთხეებში და შეიძლება სამაგალითოდ ჩაითვალოს. საჭიროა მხოლოდ აქვე მოთავსება ნაწილის ფიზკულტურის წრის მუშაობის ცხრილისა და აგრეთვე წრის წევრების სიისა.

ასეთ კუთხეების მოწყობით ფიზკულტურა აუცილებლად მასიურ ხასიათს მიიღებს, მით უმეტეს თუ ეს კუთხეები იქნება ჩამოყალიბებული ასეულებშიაც. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება ახლო მომავალში უნდა მიექცეს 1904 წ. დაბად. ახალწვეულების ფიზკულტურაში ჩაბმის საქმე, რაც იქნება უზრუნველყოფილი იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ახალწვეულებს დავახვედრებთ ნაწილებში უკვე ჩამოყალიბებულ ფიზკულტურის კუთხეებს. ფიზკულტურის კუთხეები ჩვენ უნდა გადავაქციოთ ერთგვარ გზათ, რომელიც მიიზიდავს თითეულ წითელ არმიელს ფიზკულლურის წრის მუშაობაში.

ი. რუდოვსკი.

# რას უნდა მიექცეს ყურადღება.

15 ოქტომბრიდან დაიწყება დათხოვნა გრძელვადიან შვებულებაში ტერნაწილების კადრის შემადგენლობის იმ წითელ-არმიელებისა, რომლებიც დაბადებულნი არიან 1902 წ.

გასულ წელში მიღებულ ღონისძიებებმა წითელი არმიის რიგების შესავსებლათ გასაწვევ ახალგაზრდობისაგან შესაძლებელი გახადა მიმდინარე წელს ნორმალური დემობილიზაციის გატარება იმ სამხედრო მსახურთა მიმართ, რომლებმაც უკვე გაიარეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა. ჩვენი ტერნაწილების პარტიულ და პოლიტორგანოებმა ამ თავითვე უნდა მიჰყონ ხელი სადემობილიზაციო მუშაობის სამზადისს, რომლის მიზანია გრძელ-ვადიან შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელები მოამზადონ სოფლად მუშაობისათვის. ეს მოსამზადებელი მუშაობა აშენებული უნდა იქნეს იმ მიღებულ გამოცდილებებზე, რომელიც უკვე მოგვეპოვება ჩვენ ყოფილ წითელ-არმიელების სოფლათ მუშაობიდან, საიდანაც ნათლათ გამოსჭვივის ამ მიმართულებით მიღწევებთან ერთად ის დაშვებული შეცდომებიც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, როგორც ადგილობრივ პარტ. და საბჭოთა ორგანოების მხრიდან, აგრეთვე ჩვენსა და შვებულ წითელ-არმიელების მხრიდანაც.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრიდან შეცდომები გამოიხატება მასში, რომ ისინი ეჭვის თვალით შეხვდნენ შვებულ წითელ-არმიელების აქტივობას და მის ნაცვლათ, რომ ეს საუკეთესო ძალები შემოეკრიბათ თავის გარშემო და ჩაებათ სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათ სრულიად წინააღმდეგ გზას დაადგენ ამ საკითხში. ამ რიგათ ეს აქტივობა შვებულ წითელ-არმიელებისა დარჩა გარიყული საზოგადოებრივ საქმიანობის გარეშე, რაზედაც არა ერთხელ ყოფილა მათი მხრიდან სამართლიანი საყვედური და უკმაყოფილება.

ჩვენი მხრიდან ადგილი ქონდა არა სწორ შეფასებას ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებისა და კოოპერაციის მიღწევების (გადაჭარბებული შეფასება), რამაც გამოიწვია შვებულ წითელ-არმიელებში ადგილობრივათ ერთგვარი გაუგებრობა, აგრეთვე თვით წითელ-არმიელების როლის გადაჭარბებულათ შეფასება სოფლის მუშაობაში. იყო შემთხვევები, როდესაც წითელ-არმიელთა ზოგიერთ არანორმალურ მოვლენის აღმოსაფხვრელად გადასდგეს ნაბიჯები, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შეხვდა ენერგიული წინააღმდეგობა. აგრეთვე არის მთელი რიგი ფაქტებისა წითელ-არმიელების მხრივ თავისი როლის გადაჭარბებისა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მათ მუშაობაზე, რადგან მათი მუშაობა არ იყო შეგუებული ადგილობრივ ორგანოებთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შვებულ წითელ-არმიელების მხრივ იყო წარმოებული სამხედრო პროპაგანდა სოფლის მოსახლეობაში, მაგრამ, როგორც გამოირკვა ის არ იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი. აგრეთვე იყო შემთხვევები, როცა შვებული წითელ-არმიელები სწყვეტდენ კავშირს წითელ არმიასთან და ივიწყებდენ იმ ჭეშმარიტებას, რომ ისინი იმყოფებიან მარქაფში, მაშასადამე მუშურ-გლეხური ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა რეზერვს წარმოადგენდენ.

**ჩვენი ამოცანები**

მიმდინარე სადემობილიზაციო მუშაობის წარმოების დროს მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს:

1) საფუძვლიანათ და დაწვრილებით უნდა გავაცნოთ შვებულ წითელ არმიელებს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი სოფლად.

2) წინასწარი მუშაობის წარმოება მათი მომზადების მიზნით, რათა გაალრმავონ და გააფართოვონ მოსახლეობაში სამხედრო პროპაგანდა სოფლად.

3) შთანერგვა მიმავალ წითელ არმიელებში იმ რწმენისა, რომ ისინი წარმოადგენენ მარქაფაში მყოფ ლაშქარს და პირველ დაძახებისთანავე ვალდებულნი არიან დადგენ წითელი ლაშქრის მოწინავე რიგებში.

4) საარჩევნო კომპანიის შედეგები საკმაოდ ამჟღავნებენ ზოგიერთ კუთხეებში შვებულ წითელ არმიელების პასიურობას საბჭოთა არჩევნებში. ამის მიზეზი ნაწილობრივ იყო ადგილობრივ პარტორგანიზაციების მიერ ნაკლები ყურადღება მათთან მუშაობის დარგში, მაგრამ ეს გარემოება უფლებას არ გვაძლევს ვსთქვათ, რომ ჩვენის მხრივ ყველაფერი გაკეთებული იყო შვებულ წითელ არმიელთა მომზადების (როგორც საბჭოთა აქტივის) საქმეში.

ცხადია მიმდინარე სადემობილიზაციო მუშაობის წარმოების დროს პარტორგანიზაციებმა ენერგიული ნაბიჯი უნდა გადასდგან ამ მიმართულებით, რომ შვებული წითელი არმიელები სოფლად წარმოადგენდენ არა მარტო საბჭოთა არჩევნებში მონაწილეთა აქტივს, არამედ მათ აგრეთვე შეეძლოთ არჩევნებში სათანადო ხელმძღვანელის როლის შესრულებაც.

დაბოლოს, რაც უმთავრესია,—კავშირის საქმის მოგვარება შვებულ წითელ მრმიელებთან, როგორც რეალური გამოხატულება წითელ ყაზარმასთან სოფელში მყოფ შვებულ წითელ არმიელების დაკავშირებისა და როგორც ერთ ერთი წყარო იმ მუშაობის აღსარიცხავად, რომელსაც აწარმოებენ შვებულებაში მყოფი წითელი არმიელები სოფლად.—

მ. სიხარულიძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტიის მთლიანობა არ უნდა შეირყეს

მე 6 ლეგიონი

ამ რამოდენიმე დღის წინად ადგილობრივ მუშათა კლუბში შესდგა ლეგიონის პარტწევრების, კანდიდატებისა და ახკომკავშირელების დახურული კრება.

კრებამ მოისმინა მოხსენება ლაშევიჩის, ზინოვიევის, ტროცკის და სხვათა ოპოზიციონური გამოსვლების შესახებ. დაწვრილებით იქნა აღნიშნული მომხსენებლის მიერ მათი პოზიცია და ის თუ, როგორ არ ეთანხმება ის ლენინური ცეკას ხაზს, როგორი შეცდომები აქვთ დაშვებული. მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს ამ... ნაგებმა რომლებზედაც დაწვრი... ბით უპასუხებდა.

კრების მიერ დასასრულ გა... ტანილი იქნა რეზოლიუცია, რ... მელიც გმობს ოპოზიციონერ... მოქმედებას და იწონებს ცეკას ნ... დვილ ლენინურ ხაზს.

რეზოლიუციაში ნათქვამია: მ... მავალ 15- პატყრილობამ შესა... რი პასუხი უნდა მოსთხოვოს ამხანაგებს, რომლებმაც დაარღ... ეს და არ დაემორჩილენ 14 ყ... ლობის დადგენილებებსო.

პ. ლობილაძე.

## ჩვენი კომუჯრედის მუშაობა ცვალებადელებთან.

მე-6 ე ლეგიონის 1-ლი ასეულის კომუჯრედი.

ცვალებადელების ნაწილში მოსვლისთანავე კომუჯრედმა ამართა დახურული სხდომა, სადაც გამომუშავებულ იქნა ერთ თვიური კალენდარული სამუშაო გეგმა, რომელიც მთლიანად მიმართულია უპარტიო ცვალებადელთა შორის მუშაობის გაცხოველებისაკენ ამ ერთი თვის განმავლობაში. ნაწილში გასვლისთანავე უჯრედი შეუდგა ამ კალენდარულ გეგმის განხორციელებას. მოწყობილია ლენინის კუთხე, რისთვისაც ასეულმა საერთო კრებაზე გამოყო ლენკარვის საბჭო. შემდგარია აგრეთვე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელმაც უკვე გამოუშვა ერთი ნომერი კედლის გაზეთის. დაარსებულია აგრეთვე ცნობათა ბიურო, რომელიც აწარმოებს კითხვებზე პასუხის გაცემას. კითხვა-პასუხის დაფის საშვალებით. დაარსებულია ხმამაღლა მკითხავთა ჯგუფი, სადაც პარტიული ახ ნ გის საშვალებით მიმდინარეობს სადამბის ხმამაღალი წაკითხვა წიგნების და გაზეთებისა.

საერთოდ უჯრედის მიერ დასახული მუშაობა, რომელიც უნდა გატარდეს მთელი ა... პროცენტით დიდ ნაყოფს მო... იტანს და დაუბრუნდება სო... ფელს საკმაოდ მომზადებულ... მუშაკები.

ცვალებადელი კუდისძირელ...

## პარტ-განათლების შედეგები ჩვენ... თან

1-ლ ქ. მ. დივ. საარტილერიო ლეგიონი.

პარტ-განათლებას ჩვენს ნაწილში სათანადო ყურადღება ექცეოდა თავიდან. მთელი ლეგიონის პარტ-კანდიდატები და ახკომკავშირის წევრები ნაწილში მოსვლისას გამოცდილი იქნა და მათი პოლიტიკური ცოდნის შემოწმების შემდეგ დაყოფილ იქნენ სკოლებში. ყველა პარტიის წევრის, აქტიური კანდიდატების და ახკომკავშირელებთათვის შექმნილ იქნა 1-ლ საფეხურის პარტსკოლა. ნაკლებ მომზადებულთათვის როგორც კომკავშირლებისათვის, ისე პარტკანდიდატებისათვის შესდგა კომკავშირის საკავშირო სკოლა.

მეცადინეობა სისტემატიურად ტარდებოდა ორივე სკოლებში კვირაში ერთხელ, მხოლოდ სკოლაში წევრების სიმრავლემ და არა საკმაო ხელმძღვანელების ყოლამ პირველ ხანებში ხელი შეუშალა შეთვისების საქმეს. სკოლებისათვის სათანადო საკმაო ხელმძღვანელების გამოყოფამ შესაძლებელი გახადა ახ. ლ. კ. კავშირის საკავშირო სკოლა ლეგიონში გაყოფილიყო 4 ჯგუფად.

ჯგუფებათ დანაწილებამ საშვალება მისცა სკოლის ხელმძღვანელებს კოლექტიურად დაემზადებია ჩასატარებელი თემა წინასწ... და პარტ-სასკოლო საბჭოს თა... ბირზე გაერჩიათ მიღწევები ... ნაკლი.

პარტ-სკოლის საბჭოს მეთოდ... ურმა მუშაობამ არმიის პოლი... სამმართველოს და დივიზიის პ... ლიტ-განყოფილების მიერ გად... გზავნილმა მეთოდიურ წერილებ... და მითითებების გარჩევამ ძლი... აამაღლა სკოლის ხელმძღვანელ... ბის კვალიფიკაცია და მეტად ... ახლოვა მათ წინაშე წამოჭრ... ამოცანებს. თუმცა მრავალი და... ბრკოლებელი მიზეზები თან ახ... და მუშაობას, როგორიცაა, ... საკმაო დამხმარე ქართული ლ... ტერატურის უქონლობა, განსაკ... თრებით მეთოდიურ დარგ... თვალსაჩინოების გამოუყენებლო... მეცადინეობის დროს ზოგიერ... შემთხვევაში თვით ხელმძღვანელ... მიზეზითაც და სხვა, მაგრამ გამ... ცდები და შემოწმება მიღებუ... ცოდნისა უმეტეს შემთხვევაში ... დებითია. 60 პროცენტი პროგრ... მის თემებიდან კარგათ არის მსმ... ნელების მიერ შეთვისებული; ... კითხვებზე იძლევიან ცოცხალ პა... სუხებს.

ტ. მამალაძე.

## ჩვენი კავშირი

მე-3 ლეგ. სკოლა

სკოლის ა.ლ.კ.კ. ჯგუფს კავშირი აქვს სალიკვიდაციო სკოლასთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედთან. საზაფხულო პერიოდში ჩვენი ურთიერთ კავშირი ცოტა შესუსტდა. ჩვენი ბანაკად გასვლის გამო, მაგრამ ჩამოსვლისთანავე აღვადგინეთ ძველი კავშირი უჯრედთან და შეუდექით ჩვეულებრივ მუშაობას. გასული წლის ზამთრის პერიოდში მოვაწყვეთ მათთან სამხედრო კუთხე, სადაც ტარდებოდა საუბრები გასამხედროების მიზნით. ამისათვის ჩვენმა უჯრედმა გამოყო სამხედრო საქმის მცოდ... ნე ამხანაგები, რომლებიც სისტე... მატიურად ატარებდენ მეცადინეო... ბას დანიშნულ დღეს.

ყველა მსმენელები ძლიერ დ... ინტერესებული იყვენ ამ საუბრე... ბით. ასეთი ხასიათის მუშაობ... განვაახლეთ ეხლაც, ვიწვევთ გ... ერთიანებულ კრებებს, რომელზ... დაც ვარჩევთ სხვა და სხვა საქ... ბოროტო საკითხებს. ვისმენთ ორ... გახიზატორების ინფორმაციულ მო... ხსენებებს და ამით კიდევ უფრ... ვეცნობით ურთიერთ მუშაობას.

გორელი.

# საერთო შეკრების დამთავრების წინ.

## ცვალებადელი ბანაკში

გათენდა.

მზე ამოვიდა უღრუბლო ცაზე. გაიღვიძა ბუნებამ.

აიშალა ბანაკიც. გაისმა ჟრიამული, სიცილი, ხმამაღალი ლაპარაკი; ვიღამაც სიმღერა შემოსძახა.

ცვალებადელნი მორჩნენ რა ჩაის დალევას, ბანაკის დასუფთავებას და ამოკითხვას, გაეშურენ მინდვრისაკენ. აქ დილ-დილობით აწარმოებს ფიზიკური ვარჯიშობა.

გაისმა ბრძანება და ცვალებადელნი მოეწყვნენ სამეცადინოთ. ყოველ ვარჯიშს ლამაზად ასრულებენ, შორიდან რომ უცქერი, გეგონება ერთი კაცი მეცადინობსო. სულ მოკლე ხანში შეითვისეს ცვალებადელებმა ვარჯიშობის წესრიგი და დიდებულადაც ასრულებენ მას.

— პირდაპირ ცხონებაა ეს ვარჯიში ჩვენთვის—ამბობს ერთი ცვალებადელი—მთელი დღე ისე ვარ, როგორც კენჭი.

— ეს მოუხდება ჩვენი აღმასკომის მდივანს, საცოდავი, ისე გამოიყურება, როგორც ყვითელი ქლიავი, სახლში რომ ავალ, უნდა ვურჩიო იმეცადინოს ფიზკულტურაში, იქნება გამოკეთდეს—ამბობს მეორე ცვალებადელი.

— ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ისე დავეჩვიე ვარჯიშობას, რომ ხელ-ფეხი თავისით მოძრაობენ. აი უყურეთ—ამბობს ერთი ახალგაზრდა და ხელ-ფეხს ისე ამოძრავებს, რომ მაყურებლები სიცილით იხოცებიან.

ვარჯიშობა გათავებულია· გაისმა ბუკის ხმა და ცვალებადელნი დაიყვნენ ჯგუფებად.

იწყობა პოლიტსაათი, აქვე, მინდორზე.

ცვალებადლებს ძალიან უყვართ პოლიტსაათი. აქ ისინი იძენენ მრავალ ცოდნას გამოსადეგს, როგორც ყაზარმაში, ისე სოფლად. პოლიტსაათზე ერკვევიან მრავალ საკითხებში, ეხსნებათ გონება.

ცვალებადელი იშვიათად თუ გამოაკლდება პოლიტსაათს.

— აბა, მითხარი ამხანაგო—ეკითხება ხელმძღვანელი ცვალებადელს—რას გვედავება საფრანგეთი, გვმართებს მათი რამე ჩვენ?

— თუ ვალებზე წავიდა საქმე, ამხ. ხელმძღვანელო—ჩვენი უფრო მეტი მართებს საფრანგეთს. აბა დავთვალოთ, რამდენი მსხვერპლი შეიწირა დენიკინმა, კოლჩაკმა და სხვებმა. ეს სულ საფრანგეთის კაპიტალისტების ბრალი არის, ისინი არ აძლევდნენ მათ იარაღს და ფულს? საფრანგეთს ჩვენი მეტი მართებს.

— განა არ ვიცი, რის მუცლის გვრემაც აქვს ი პილსუდსკის თუ რაღაც ეშმაკია, მაგრამ გულის წადილს ვერ შეისრულებს. რის ომი, რა ომი? ჰერე მუშებს და გლეხებს რა პასუხს აძლევს?—დინჯად ლაპარაკობს ერთი ცვალებადელი.

სასიამოვნოა პოლიტსაათზე დასწრება. აქ ნათლად ხედავ, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი გლეხი, რამდენად განვითარდა იგი პოლიტიკურად.

მას აინტერესებს არა მარტო თავისი კერძო საქმე, არამედ სხვა სახელმწიფოების ცხოვრება—ვითარებაც.

და უეჭველია, რომ ამ მოკლე შეკრების დროს ჩვენი ცვალებადელი გამოიყენებს (და იყენებს კიდეც) სარგებლიანად და სახლში დაბრუნებისას თავის ცოდნას გაუზიარებს სოფლად დარჩენილ ამხანაგებს.

ი—ა.

## ცვალებადელის დღე.

მე-5 ქართ. მსრ. ლეგიონი.

შუა დღის 12 საათია... მზე უხვად ჰფენს სხივებს მინდვრად გაშლილს ბანაკს. ირგვლივ ჯგუფჯგუფად დანაწილებულნი არიან ცვალებადელნი და უსმენენ მეთაურებს სამხედრო საგნების ახსნა-განმარტებას. ერთ ცვალებადელს უჭირავს ხელში სამ-ხაზიანი შაშხანა თოფი და გულმოდგინეთ იმეორებს მის წონას, სიგრძეს და დანიშნულებას...

გაისმის საყვირი... ეს მეცადინეობის დამთავრების ნიშანია...

— ადექით!—გაისმის განკარგულება მეთაურის.

ცვალებადელები ცოცხლად დგებიან და უცდიან მეთაურის შემდეგს განკარგულებას.

— დადექით!.. სწორდით!.. სმენა... სწორება რიგებში ნაბიჯით იარ!..

მწყობრი დაიძრა ადგილიდან და სიმღერით მიაშურეს თავის კარავებისაკენ.

— გაალეთ საკეტები, გასუფთავეთ თოფები და მიაყუდეთ პირამიდებში.

კიდევ გაისმა უფროსის უკანასკნელი ბრძანება, როდესაც მწყობრი მივიდა კარვებთან. ყველაფერი რიგზე იქნა შესრულებული.

— ცვალებადელნი გამოვიდენ დასასვენებლად, მაგრამ ჩვეულებრივი ოხუნჯობა და სამხედრო საქმეზე ბაასი მაინც არ შეუწყვეტიათ. ასე მიდის ჩვენი სამეცადინო დღეები.

ნ. გრამოდიელი.

## მეცადინეობას დიდი ყურადღება ექცევა

მე 6 ლეგ. 5-ე ასეული

ლეგიონის მეხუთე ასეულის ცვალებადელთა შემადგენლობა წმინდა ქართველურია და ამიტომ, როგორც პოლიტიკურ დარგში, ისე სამხედროში ნორმალურად ტარდება მეცადინეობა.

თითეული ამხანაგი [მონდომებულია, რაც შეიძლება მეტი გამოცდილება და ცოდნა შეიძინოს, რომელიც აუცილებელია წითელი არმიის მებრძოლისათვის. ამხანაგები მასიურად არიან ჩაბმული სკოლის გარეშე მუშაობაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კედლის გაზეთში და მრავალი სხვა. უკვე გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის პირველი ნომერი „მე-5 ასეულის ხმა". სამხედრო ცოდნის მხრივ ხომ უფრო დიდ დაინტერესებას აქვს ათში ადგილი. გულდასმით უგდებენ ყურს ყოველგვარ ახსნა-განმარტებას. პრაქტიკული ხასიათის სროლები დიდი წარმატებით იქნა ჩატარებული.

მეფარიშვილი.

## როგორ ვიყენებთ შესვენებას

მე-6 ლეგ. 4 ე ასეული

ცვალებადელთა სამეცადინო დრო, რომელიც [მეტად მცირეა, მრავალ მოთხოვნილებებს გვიყენებს. ერთი თვის განმავლობაში უნდა გავიაროთ მთელი ის ძირითადი მეცადინეობა, რომელსაც ატარებენ ძირედ ნაწილებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ არც ერთი წუთი ტყვილა არ იკარგება ნაწილში. მეცადინეობის შემდეგ გამოყენებულია ის 10 წუთი შესვენებაც, რომლითაც ვსარგებლობთ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ბიბლიოთეკა ამოიღებს ღლიაში სხვა და სხვა საინტერესო წიგნებს, ჩაერევა წითელ არმიელებში და უკითხავს მათ. ზოგს ისე არიგებს და ავალებს წერა-კითხვის კარგად მცოდნეებს წაუკითხონ ის წითელ არმიელებს. ამხ. ასეთი მოქმედება მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ცვალებადელებში და ისინიც ენერგიულად და მონდომებით ეკიდებიან წიგნების კითხვასა და წაკითხულის მოსმენას.

მადლობის ღირსია ასეთი [ამხანაგი, რომელიც ერთ წუთსაც არ კარგავს ისე, რომ რაიმე სარგებლობა არ მოუტანოს ცვალებადელებს. მისი მოქმედება მაგალითი იქნება ჩვენთვის სოფლად დაბრუნებისა და იქ მუშაობის დროს.

მეძველია.

## ვვარჯიშობთ სროლებში

მე 6 ლეგ. 6-ე ასეული

ჩვენი ასეული უკვე შეუდგა სროლების პრაქტიკულად ჩატარებას. ვარჯიშზე გამოირკვა, რომ თეორიული ცოდნა სროლის საქმეში ყველას კარგად აქვთ შეთვისებული. მოხერხებულად ხმარობენ შაშხანებს. უკვე ჩატარდა პირველი ვარჯიში, რომელმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სროლები იწარმოებს ამ ორი კვირის განმავლობაში შეუწყვეტლივ, რომ უკვე დამთავრებული ცოდნითა და გამოცდილებით იქნენ ცვალებადელები მივლენილი შვებულებაში.

ლობელაძე.

## მუშაობა ცოცხლად ტარდება.

მე-6 ლეგ ტყვიამფრ. ასეული.

შეკრების პირველ დღებში ასეულში ვერ იყო კარგ ნიადაგზე დაყენებული სკოლის გარეშე მუშაობა, მაგრამ შემდეგში თანდათან ჩამოყალიბდა სხვა და სხვა ჯგუფები და მუშაობაც გაჩაღდა. ამ ჟამად არსებობს შემდეგი ბირთვები: პოლიტიკური, სამხედრო, მკითხველთა, სარედაქციო კოლეგია, ცნობათა ბიურო და სხვა.

თითეული ჯგუფი ყოველ ორ დღეში სისტემატიურად ატარებენ ცალცალკე საუბრებს. მკითხველთა ბირთვი კი ყოველ თავისუფალ საათებში აწარმოებს ხმა-მაღალ კითხვას და მრავალ ცვალებადელებსაც იკრებს თავის გარშემო.

განზრახულია ამ ახლო მომავალში ცვალებადელთა თვითმოქმედების საღამოს მოწყობა. საამისო სამზადისი კარგა ხანია დაიწყო და ალბად შესაფერად იქნება ის ჩატარებული.

წარმოებული მუშაობა ჩვენს ასეულში იმის საწინდარია, რომ ცვალებადელები შესაფერი გამოცდილებებით დაუბრუნდებიან სოფლებს და იქაც გააგრძელებენ თავის მუშაობას.

ა. მუხურაძე.

# წითელი ყაზარმა ახალწვეულების მოლოდინში.

## ახალ ცვლას ღირსეულად ვხვდებით

1-ლი ლეგიონი

ჩვენი ლეგიონის ალლუმები დიდი მიღწევებით იქნა ჩატარებული, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ თვალსაზრისით. ბანაკში ყოფნის დროს საკმაო ნაყოფიერებით გავედით ის, თუ როგორ უნდა შევხვედროდით მტერს და როგორ უნდა გვეწარმოებია პოლიტმუშაობა დაკავებულ ადგილების მოსახლეობაში. საზამთრო ყაზარმებში დაბრუნების შემდეგ ეს მუშაობა არ შეწყვეტილა, მართალია სხვანაირად სწარმოებს ის აქ, მაგრამ სარჩულად ისევ საბრძოლო უნარიანობის ამაღლება და პოლიტიკური ცოდნის შეძენა უძევს.

ვემზადებით ახალწვეულების შესახვედრათ. ყოველგვარი ზომებია იმისთვის მიღებული, რომ შეხვედრა ჩატარდეს დიდის ნაყოფიერობით. აქედანვე უნდა შევაყვაროთ ყაზარმაში მომავალ ახალ ცვლას სამხედრო საქმე. მოსვლის თანავე ვრცლად გაეცნობათ მათ ჩვენი ლაშქრობის ისტორია და ის გამოცდილებანი, რომელიც ჩვენ აქედან მივიღეთ.

ყველა თვითმოქმედების ორგანიზაციები ფეხზე დგანან. ლენინის კუთხეები ხელახლა ეწყობა და ლამაზდება. ირთვება სათანადო შინაარსის ლოზუნგებით და პლაკატებით.

კლუბი ამზადებს—იმარაგებს შესაფერი შინაარსის კინო-სურათებს. ასევე ეწყობიან და ემზადებიან კლუბთან არსებული სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები.

ვ—ძე.

## შეფი გვეხმარება

მე-3 ლეგიონის სკოლა.

ლეგიონის სკოლა შეფობის ქვეშ ჰყავს აყვანილი საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს, რომელიც დიდ ყურადღებას გვაქცევს და ხშირად გვაწვდის სხვა და სხვა მასალებს.

ამას წინად ადგილობრივ ხეტყის საწყობის მუშებმა მოაწოდეს სკოლას ხის მასალა ლენინის კუთხეებისა და სხვა საჭიროებისათვის. ამას გარდა ეზოში მოგვიწყვეს სხვა და სხვა იარაღები ტანვარჯიშობისათვის. შეფი სხვა მხრივაც გვეხმარება. კავშირი კარგი გვაქვს. ხშირად ვესწრებით ერთმანეთის კრებებზე და ვეცნობით ურთიერთ ცხოვრებასა და საქმიანობას.

სკოლის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უცხადებს შეფს და სიტყვას აძლევს, რომ მტკიცედ შეასრულებენ იმ დავალებებს, რომლებსაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება აკისრებს სკოლას.

როყუა.

## გერმანიის მუშათა მე-2 დელეგაცია ჩვენთან

3-ე ლეგიონი

კვირას 19 სექტემბერს ჩვენს ლეგიონს ესტუმრა გერმანიის მუშათა მე-2 დელეგაცია, რამაც აღტაცებაში მოიყვანა მთელი ლეგიონი. თავის მხრივ ისინიც მხიარულად შეგვხვდენ და დიდი ინტერესით დაუწყეს თვალიერება ჩვენს ყაზარმებს, კლუბს და სიამოვნებით ეცნობოდენ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ლენინის კუთხეებმა. გვაძლევდენ სხვა და სხვა შეკითხვებს მეცადინეობასა და უფროსებთან დამოკიდებულების შესახებ და მრავალი სხვა. მათი წასვლის დროს მთელი ლეგიონი იქნა გამოყვანილი ეზოში. აქ ერთი დელეგატი მიესალმა წითელ არმიელებს დელეგაციის სახელით და აღნიშნა ის დამოკიდებულება და აღზრდის საქმე, რომელსაც ადგილი აქვს წითელ არმიაში და რაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წითელ არმიელები მხურვალე ტაშითა და ვაშას ძახილით შეხვდენ მათ მისალმებას. დასასრულ სამხედრო ორკესტრით გავაცილეთ ძვირფასი სტუმრები.

ნ. კალანდაძე.

## „წითელი შოლტი" ჯარში

22 სექ. ავლაბრის მუშათა კლუბში, სადაც გაიმართა ქართულ ჯარების გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა (საკავშირო და მესანგრე ასეულების და სხვა) გამოსამშვიდობებელი საღამო, გამოვიდა 1-ლი ქართული ლურჯი ხალათი—„წითელი შოლტი", შემდეგი ნომრებით: 1. პარად-ალეი, 2. ლურჯი ხალათი ფერებში, (ისტორია - წაიკითხა ლურჯი ხალათის ავტორმა ერთაწმინდელმა), 3. განთიადი სოფლად, 4. საწევრო ანარიცხები, 5. მოპჭირნეობის რეჟიმი, 6. ჯარში გაწვევა, (საგანგებო ნომერი ამ კამპანიისათვის), 7. ვირტაჰი, და 8. დასასრული (ეპილოგი), რამაც დამსწრე წითელარმიელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა, და მოთამაშეთ ოვაციები გაუმართეს...

ყოველ ნომრის შინაარსს წინდაწინვე უხსნიდა დამსწრეთ, ხელმძღვანელი ლორთქიფანიძე, რაიც უადვილებდა ნახულის გაგებას...

ამავე საღამოზე გამოვიდა საქ. საბჭ. და სავაჭ. მუშ. კავშირთან არსებული მომღერალთა გუნდი—კალანდაძის ლოტბარობით და თავის მოხდენილი სიმღერებით აღაფრთოვანეს დამსწრენი...

საღამოს დაესწრენ აუარებელი მუშებიც...

საუცხოვო დისციპლინა აქვთ ლურჯხალათიანებს, წარმოდგენები მიდიოდა უანტრაქტოდ, ზედიზედ, როგორც შეფერის „ცოცხალ" გაზეთს; ლურჯხალათიანთა შორის კარგი თამაშით განირჩევიან: მერი გოგოლაშვილი, რუსუდანა დავითაშვილი, კაკო კვანტალიანი, ვასო ფერიაშვილი, გოგი ლომაია, აპალონ დუმბაძე, გოგა იოსელიანი და პავლე კერესელიძე.

სასურველია „წითელი შოლტი" ხშირად გვეწვეოდეს ხოლმე.

№ 1.

## ვეწყობით საზამთრო მუშაობისათვის.

მე-2 ლეგიონი

ბანაკობის დროს ლეგიონის შემადგენლობა ძლიერ გაიწვრთნა სროლაში. პრაქტიკულ მეცადინეობისა და მანევრების ჩატარების დროს ეს გარემოება უფრო თვალსაჩინოდ დამტკიცდა. ამნაირად ნაწილი გამარჯვებული გამოვიდა ამ მხრივ. ყაზარმებში დაბრუნების შემდეგ ლეგიონი შეუდგა საზამთრო მეცადინეობასა და ახალწვეულების მიღების სამზადისს. განზრახულია სკოლის გარეშე მუშაობის ძლიერ გამოცოცხლება. ამ მიზნით ეწყობა ახალი კლუბი თვით ნაწილის ძალების მიერ. კლუბი მრავალი ოთახებისაგან შესდგება და ამნაირად საშვალება გვექნება ყველა წრეებმა ენერგიულად და ხელის შეუშლელად აწარმოონ მუშაობა.

კლუბის საზეიმო გახსნა უნდა მოხდეს ოქტომბრის პირველ რიცხვებისათვის. ოთახებში ჯერ-ჯერობით მოთავსებულია შემდეგი კაბინეთები: პოლიტკაბინეთი, სკოლის გარეშე პროპაგანდის, სანიტარული, ფიზკულტურის, საკავშირო საქმის და ლეგიონის ისტორიის. დანარჩენ ოთახებში კი ეწყობა სხვა და სხვა თვითმოქმედი საზოგადოებები.

ასე ვემზადებით მომავალი მუშაობისათვის.

ლალიკო.

## ჩვენი „ლურჯხალათიანები"

1-ლი არტლეგიონი

ჯერ კიდევ არ ვიყავით ალლუმებიდან ნაწილში ჩამოსული, რომ ჩვენი ლეგიონის მუშაობის ხელმძღვანელებს დაებადათ აზრი ჩვენს ნაწილში „ლურჯი ხალათის" წრის შექმნაზე.

ყაზარმებში დაბინავების შემდეგ შეუდგენ ამ მიმართულებით მუშაობას და კარგა ხნის მეცადინეობის შემდეგ წრე მოემზადა საღამოს გასამართავათ შემდეგი პროგრამით: 1. მარში, 2. მოწინავე, 3. ბურჟუაზიული პრესა, 4. რერო რანინა, 5. გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს, 6. კინტოები, 7, ხრინწაძის ხორო და/8. მარში.

საღამო გამართული იქნა შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების გაშვების წინა დღით, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე.

წრის წევრები დიდი გულმოდგინეობით მუშაობენ. დიდ დახმარებას უწევს მათ აგრეთვე ლეგთავი და სამხკომი. მათი განკარგულებით შეძენილი იქნა წრის ყველა წევრებისათვის ლურჯი ხალათები.

რა თქმა უნდა „ლურჯ ხალათს" კიდევ აკლია ბევრი რამ, მაგრამ სრული იმედია, რომ ლეგიონის შემადგენლობა გაუწევს მას, როგორც მატერიალურ დახმარებას, ისე მიაწვდიან მას ყოველგვარ მასალებს ნაწილის ყოფა-ცხოვრებიდან, რაც ძლიერ გაუადვილებს მათ დავალებული საქმის შესრულებას.

მირზაიანცი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

### უწყლობა გვაწუხებს.

აგერ ერთი კვირაა თითქმის რაც 1-ლ ლეგიონში წყალი აღარ გვაქვს. სხვას რომ თავი დავანებოთ პირი ვეღარაფრით დავიბანეთ. გათენდება თუ არა მოედებიან წითელარმიელები პურის საცხობებს ქუჩებში და ეძებენ წყალს, რასაც ხშირად უსიამოვნებაც მოსდევს. საჭიროა დროზე მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და მოაწყონ წყლით უზრუნველყოფის საქმე.

ქ. ტატი.

### არა გვაქვს სინათლე.

1-ლ ლეგიონის საყარაულოში არ არას განათება. სანათურა გადამწვარია არავინ ფიქრობს იმის გამოცვლაზე. გვაქვს ნავთის ლამპა, მაგრამ შუშა არა აქვს და ვერ ვანთებთ. ამის შესახებ იცის ვისიც ჯერ არს მაგრამ ჯერ არავითარი ზომები არ მიუღია. სანამ უნუა ვიყოთ ბნელში?

ფრონესპირელი.

### დროა მოგვექცეს ყურადღება.

ტერ სამართველოს საკომენდანტო გუნდის წითელ არმიელები მალე ვიქნებით გაშვებული გრძელ ვადიან შვებულებაში, მაგრამ სამწუხაროთ არა ვართ ისე მომზადებული, რომ ჩვენც ვიმუშაოთ სოფლად. წინათ ჩვენთან სისტემატიურად ტარდებოდა პოლიტსაათი, ეხლა კი კარგა ხანია რაც შეწყდა. არა გვყავს პოლიტხელმძღვანელი. უნდა მოგვექცეს ყურადღება. ჩვენ ძლიერ დაინტერესებული ვართ,რომ ცოდნით დავბრუნდეთ სოფელში და ჩვენც შევსძლოთ საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად.

ა. სიჭინავა.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ელექტრონების მოპოება ჰაერიდან.

ლენინგრადის პროფესორ როზინმა ააგო განსაკუთრებული ტიპის ტრანსფორმატორი, რომელიც იწვევს ჰაერში ხელოვნურ ელვას, ხოლო ამ უკანასკნელიდან კი მიიღება დიდი ძალის ელ. ჩქერი მრეწველობის დასაკმაყოფილებლადაც კი.

ამავე ტრანსფორმატორის საშვალებით შესაძლებელი ხდება იმ ელექტრონების გამოყენება, რომელიც იმყოფება დედამიწის ქერქში. ტრანსფორმატორზე დაყენებულ პირველმა ცდებმა კარგი შედეგები მოიტანეს.

### უდიდესი ქიმიური ქარხანა.

გერმანიის ქიმიურ ქარხნებს შორის, რომელიც ყოველთვის ცნობილი იყო ძლიერ განვითარებული ქიმიური მრეწველობით, განირჩევა თავისი სიდიდით ბადენის სოდისა და ანილის ქარხანა.

თუ რამდენად უზარმაზარია ის, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი ციფრებიდან:

ქარხანა ხარჯავს დღეში 2.100 ტონა ქვანახშირს, 1,900 ტონა კოქსს, 600 ტონა ბრივეტს და 9.000 ტონა რუხ ნახშირს. სულ 13.600 ტონა სათბობ მასალას.

ელექტროსადგურების მიერ ყოველდღიურად დამუშავებული ენერგია უდრის 800.000 კილოუატ საათს. საქაჩი მილების მოქმედებაში მოსაყვანად და სხვა მანქანებზე იხარჯება ამას გარდა აგრეთვე 210.000 ცხენის ძალის ელექტრო ენერგია.

### ქიმიური თავდასხმის ახალი საშვალება—შხამიანი სანთელი.

„სანთელს“ აქვს ცილინდრიული სასმისის ფორმა, რომელშიდაც მოთავსებულია უკვამლო თოფის წამალი, შხამიან ნივთიერებაში არეული.

„სანთლის“ სახურავზე მოთავსებულია პატრუქი და თუ ავანთებთ პატრუქს, ის აafeთქებს წამალს, აირი მოისწრაფის გარედ ძლიერი ძალით და ქარის საშვალებით უშვებენ მოწინაალმდეგისაკენ.

„სანთელი“ ყოველგვარი ზომით შეიძლება დამზადდეს და სრულიად არ წარმოადგენს საშიშროებას მოპყრობის დროს.

ქიმიური დავდასხმის ეს ახალი წესი დიდ გასავალს ჰპოებს მომავალ ომებში.

# უცხოეთის არმიებში

### რად დამარცხდენ რიფები?

ერთ-ერთ ამერიკულ სამხედრო ჟურნალში მოთავსებული იყო მეტად საინტერესო წერილი „მაროკოს კამპანიის გაკვეთილების“ სათაურით.

წერილში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი თუ როგორ იბრძოდენ რიფები და როგორ შესძლეს საფრანგეთის ჯარებმა მათი დამარცხება.

პირველად ყოვლისა წერილში აღნიშნულია,რომ ფრანგებმა გაიმარჯვეს არა იმიტომ, თითქოს ბრძოლის უნარი მეტი აქვთ და პრწყინვალედ იბრძვის ფრანგი ჯარისკაცი, არამედ იმიტომ უმთავრესად, რომ ფრანგებმა გადაიტანეს მაროკოში უამრავი ბრძოლის ტეხნიკური საშვალებანი.

რიფების წინაალმდეგ მომქმედ ჯარებში გადიდებული იქნა ხელისა და დაზგიანი ტყვიამფრქვევების რიცხვი, თოფიდან და ხელით სასროლი გრანატები, არტილერია და სხვა. მოქმედებდა მძიმე არტელერიაც. დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთის ჯარებს აგრეთვე ჰაეროპლანებმა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ სამძიებლო სამსახური.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ცოცხალი ძალების წინაალმდეგ ბომბების სროლამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი.

ამას გარდა რიფების წინაალმდეგ მოქმედებდა ტანკების 6 ასეული. პირველად ისინი მოქმედებდენ მოძრაობის დროს, მაგრამ აქ დიდ წინაალმდეგობასა და სიძნელეებს წააწყდენ ისინი, რადგან მუშაობის შემდეგ ყოველთვის საჭირო შეიქნა მათი შეკეთება.

ამის გამო ფრანგებმა ავტომობილებით იწყეს ტანკების გადაზიდვა.

ტანკებს იყენებდენ უმთავრესად ფრთების დასაცავად, წინაალმდეგობის გამწევი პუნქტების სასწრაფოდ შექმნისათვის გამაგრებულ პოზიციების წინაალმდეგ იერიშის დროს და სხვა. მაგრამ აქ დიდ კურიოზებს ჰქონდა ხშირად ადგილი.

მაგალითად, როდესაც ტანკები გაერთობოდენ ბრძოლაში და სწყვეტდენ კავშირს უმთავრეს ძალებთან, ისინი მტრის მაგივრად ხშირად თავისიანებს უშენდენ ტყვიებს.

ტანკები მოქმედებდენ უმთავრესად ჯგუფურად (3 ტან.) ორი მათგანი შეიარაღებული იყვენ ზარბაზნებით, ხოლო მესამე კი—ტყვიამფრქვევებით.

ტანკების ასეთი განყოფილება ყველაზე უფრო კარგად მოქმედებდა.

მაგრამ რიფებმა გამოიგონეს მათ წინაალმდეგ ბრძოლის განსაკუთრებული წესი.

ისენი იქცეოდენ ასე: 3-4 რიფი შეიარაღდებოდენ რკინის კეტით. დაიმალებოდენ ბუჩქებში ან ხრამში და ტანკის გავლის დროს, მოულოდნელად მივარდებოდენ მას და შეუყოფდენ რკინის კეტს მის მექანიზმში.

ბრძოლის ასეთი წესი ძლიერ ნაყოფიერი შეიქნა რიფებისათვის როგორც სჩანს, რადგან ომის დასრულების წინა ხანებში ფრანგებმა მოუწყვეს თავის ტანკებს სპეციალურად ეკლიანი მავთულის ხლართი, რაც აბრკოლებდა ტანკასთან მიახლოვებას.

როგორც სჩანს, ბრძოლის ტეხნიკური საშვალებების სიჭარბემ მისცა ფრანგებს საშვალება გაემარჯვებიათ საკუთარი დამოუკიდებლობისათვის თავგამოდებით მებრძოლ რიფებზე.

# პასუხი შეკითხვებზე

— გურულს. ასეთი კურსები არსებობენ რკ. გზის სამმართველოსთან. თუ სათანადოთ ხართ მომზადებული პირველ რიგში უნდა მიგიღონ, როგორც წ. არმ.

— სანაძეს. თქვენ, როგორც იწერებით ის თუ ნამდვილია, სარგებლობთ პირველ ხარისხის შეღავათებით. მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოთ ყოველივე საჭირო საბუთები.

— კავკასიელს. თქვენ უნდა მიმართოდ ცნობის მისაღებათ ქართ. სამხ. მეთ. სკოლის უფროსს.

— გე—ოს. არ გეკუთვნით, რადგან თქვენ შტატით არ ხართ გატარებული.

— ჭალისხეველს. მიმართედ თქვენს სამხკომს.

— მ. გ. თანახმად საექიმო კომისიის დადგენილებისა შეეძლოთ ავადმყოფობის გამო თქვენი გადარიცხვა უმწყობროში.

— ღვაბერიძეს. გორი დაშორებული ადგილათ არ ირიცხება, ამიტომ არ გერგებათ ზედმეტი ფული.

— მასვე. ცოლშვილის გადმოსაყვანათ გერგებათ უფასო სამგზავრო ბილეთი და ბარგის გადმოსატანი „ნარიადი“.

— ა. კვერნაძეს და ტყემალაძეს. თუ გაზეთში იყავით გამოცხადებული მიიღებთ საჩუქრად წიგნებს, როგორც კარგი მ... ხველნი.

— ელიავას. წავლენ გრძელვადიან შვებულებაში 1924 წ. მოწვეულები.

— იმერელს. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მაშინვე წავა.

— მასვე. განმეორებითი გაწვევაზე, ჯამაგირი მოგეცემათ წესებულებიდან.

— ზესტაფონელს. 1902 წ. დაბადებულები წავლენ გრძელვადიან შვებულებაში.

— ალაზნელს. სააქციზო კურსები ჯერ-ჯერობით არ არის.

— ვაროს. თქვენს ძმას კადრში არ გაიყვანენ.

— ქამუშაძეს. ეს დამოკიდებულია თქვენს უფროსზე. თუ საჭირო იქნებით დაგტოვებენ.

— ნოე ოდიშარიას და ცომაიას. თუ დროებით იყავით გერგებათ.

— წახნაკიძეს. ხელახლად შეეკითხეთ სკოლას.

— ხინთიბიძეს. შეღავათი არ გეკუთვნით, რადგან თქვენი შრომის უნარიანია.

— ბეთლემელს. გაშვების შესახებ შეეკითხეთ თქვენს შტა... რომელსაც აქვს განკარგულება, თუ ვინ როდის მიდის.

— ა. რ. ფლოტში გადარიცხული არ იქნებით (ბრ.№ 834-2...

— აზიკუროვს. თქვენ მიერ გამოწერილი გაზეთები იგზავ... ბოდა ლეგ. სახელზე. იქ მოიკითხეთ.

— თ—ვს. გადაყვანილი არ იქნებით (ბრ. № 834—25 წ.)

— ლომიძეს. პირველ ოქტომბრიდან იხსნება სატრაქტო... კურსები. მიმართედ მიწათ-მოქმედების კომისარიატს.

— გ. ს-კს. თქვენს ცოლს შეუძლია ჩაეწეროს რომელიმე უ... შევართა კოლექტივში.

# ჩვენი ფოსტა

**კანდრევიჩს** წერილი უვადო შვებულთა შესახებ არ გა... ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ოდისეის** თქვენი წერილი მეოთხე ლეგ. მიძრავი ბიბლი... თეკის შესახებ ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში. მეორედ... დაიბეჭდება იმავე ხასიათის წერილი.

**ადამიას** თქვენი წერილები: „კულტურული მუშაობა“ „ჩ... ნს ლეგიონში“ და „ტერნაწილის სტრუქტურა და მ... მნიშვნელობა არ გადის. პირველი ორის შესახებ იყ... გაზეთში, ხოლო მესამე არ გამოდგა.

**ბურდილაძეს** თქვენი წერილი შვებულთა სოფლად მოკ... ობის შესახებ არ გადის.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

მე-6 ლეგიონის მე-7 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განც... დება, მე-5 ასეულის ათ. მეთაურს ამხ. ლობჟანიძე ბესარიონს კ... კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ ხსენებულ ამხანა... შესახებ, გთხოვთ ყოველგვარი ცნობები, სიტყვიერათ ან წერილ... ბით გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

---

მე-6 ლეგიონის მე-6 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განც... დებები პარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგ...

1. გრძელიშვილი არქიფოს (ა. ლ. კ. კ. წევრი), 2) ჯიჯი... ლი სოლომონს (უპარტიო, თელავის მაზრა.), 3) ჩაკვეტაძე გრიგ... ლის (უპარტიო, ლეჩხუმის მაზრა),

ამხ-გების შესახებ თუ ვინმეს გაქვს რაიმე საწინაალმდე... გთხოვთ გვაცნობოთ 6 დღის განმავლობაში.

---

მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების კომუჯრ... ში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კინდიდატს ამხ. ... კოლოზ დიანოვს, რომელიც თხოულობს საკ. კომპარტიაში წევრ... გადარიცხვას.

თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინაალმდეგო აღნიშნულ ამხანაგ... გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

**მე 2 ქართულ დივიზიის პოლიტგანის კომუჯრედის ბიურო.**

---

მე-6 ქ. მ. ლეგიონის მე 8 კომუჯრედში შემოტანილი აქვს გ... ცხადება კ. პ. წ. გადარიცხვის შესახებ კ. პ. კ. ლობილაძე პარმ... კომუჯრედი გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობ... თუ ვინმეს რაიმე საწინაალმდეგო გაქვთ იმის შესახებ.

## განცხადება.

ქ. ტფილისის კომენდატი აცხადებს ტფილისის და მ... **რაიონების** მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 27, 28, და 2... სექტემერს მარილის ტბების (კუკიისა და ავლაბრის) რაიონ... ბში, ქალაქის აღმოსავლეთისკენ, იწარმოებს სროლა არტ... ლერიიდან.

ქ. ტფ. კომენდანტის მაგიერ მესხი.

---

**დაჰკარგე** 1925 წ. აგვისტოს თვეში წითელ ჯ... ში სამსახურის დროს ატესტატი ზუგდ... დის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრებისა გაცემუ... 1918 წელში ილია მოსეს-ძე არქანიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქ... მულად.

**დაჰკარგე** მოწმობა მიღებული 1-ლი ქარ. მს... ლეგიონ დან № 3689 სილოვან მ... ლობლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# მუშ-სოფლკორების მუშაობისადმი დახმარება და ხელმძღვანელობა.

### ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

28 აგვისტოს ცეკამ, პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ მუშ-სოფლკორთა მოძრაობის დარგში დაადგინა, რათა გაძლიერებული იქნეს მუშ-სოფლკორების მოძრაობაზე პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიულ კომიტეტებიდან დაწყებული ძირედ უჯრედებამდე, რათა ერთი მხრივ ბოლო მოუღოს მუშ-სოფლკორების მუშაობისადმი უყურადღეობას და მეორე მხრივ მოისპოს მათდამი ცენზურის, აკრძალვისა და ბრძანების სახით ხელმძღვანელობის ცდები.

უჯრედები ხელს უნდა უწყობდენ წარმოებებში და სოფლად მუშ-სოფლკორების მუშაობისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნას.

მუშ სოფლკორებისადმი ხელმძღვანელობა უნდა სწარმოებდეს ამ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტების მიერ.

პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას მუშ-სოფლკორთა ორგანიზაციებში არ უნდა მივყავდეთ კომფრაქციის შექმნისაკენ.

ძირედ პარტორგანიზაციებმა უნდა შეიტანონ მუშ-სოფლკორთა წრეების მუშაობა, ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საერთო გეგმაში.

### როგორ უნდა იმუშაონ გაზეთებმა.

კედლის გაზეთები უნდა გადაიქცენ მასების ფართო თვითმოქმედების ორგანოებათ. კედლის გაზეთების რედკოლეგიებმა უნდა მიიზიდონ გაზეთში მონაწილეობის მისაღებად მუშების, მუშა-ქალების, გლეხებისა და გლეხი-ქალების რაც შეიძლება ფართო წრეები.

ამის გამო მიზანშეწონილი იქნება ის კედლის გაზეთები, რომლებიც იცემიან მუშ-სოფლკორების მიერ, იცემოდენ არა რომელიმე წარეოების, ორგანიზაციების და მუშ-სოფლკორთა წრეების ორგანოების სახით, არამედ მოცემულ წარმოების მუშების ან მოცემულ სოფლის გლეხების გაზეთების სახელწოდებით. საქარხნო გაზეთების რედკოლეგიები, რომლებიც წარმოადგენენ გარდამავალი ტიპის გაზეთებს კედლის გაზეთიდან—ჩვეულებრივ დაბეჭდილ გაზეთზე, უნდა სდგებოდენ არჩევნების წესით, ხოლო პასუხისმგებელი რედაქტორი კი ინიშნება მახლობელ პარტკომის მიერ.

საჭიროა გაძლიერდეს სოფლკორების მოძრაობისადმი ხელმძღვანელობა, რომელშიდაც ამჟამად უნდა გამრავლდეს ულარიბესთა და მოჯამაგირეების კადრი.

მუშ-სოფლკორების ორგანიზაციების ძირითად ამოცანას უახლოეს პერიოდში წარმოადგენს პოლიტ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. პარტიის მიერ აღებული ხაზი, მუშ-სოფლკორების მოძრაობის გაძლიერებისათვის გაზეთების გარშემო, სავსებით გამართლდა და შემდეგშიც უნდა ტარდებოდეს შეუწყვეტლივ.

### ფორმალობასთან ბრძოლა.

პარტიულ კომიტეტებმა უნდა გაატარონ მთელი რიგი ზომებისა სამეურნეო დარგების ხელმძღვანელთა და მუშ-სოფლკორების შორის დამოკიდებულების გაუმჯობესების მიზნით და მისცენ სამეურნეო ადმინისტრატიულ ორგანოებს სწორი წარმოდგენა მუშ-სოფლკორების მოძრაობის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ.

პარტკორებმა უნდა მოაგვარონ მუშ-სოფლკორების მასალების მიხედვით გამოძიების საქმე და ებრძოლონ სასამართლოს და ადმინისტრატიულ ორგანოების მიერ გაზეთში მოთავსებულ ან დაწესებულებებში გამოსაძიებლად გაგზავნილ კორესპონდენციებისადმი ფორმალურად მოქცევასა და უყურადღებოდ დატოვებას.

ნ. დ. ს. ფ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.